საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
2021/2022
სასწავლო წელი

01.12.2021
www.geostat.ge

01.12.2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები
(2021/2022 სასწავლო წელი)

2021/2022 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში სულ 2 308 ზოგადსაგანმანათ-ლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო, ხოლო 222 კერძო. წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა 1 ერთეულით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.2%) იმერეთში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებე-ბის რაოდენობა 2017/2018-2021/2022 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა
(ათასი)



01.12.2021

2021/2022 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 624.5 ათასი მოსწავლე სწავლობს, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 2.5 პროცენტით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 90.4 პროცენტი სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში - 9.6 პროცენტი. მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 48.0 პროცენტი გოგოა, ხოლო 52.0 პროცენტი - ბიჭი.

რეგიონებს შორის, ყველაზე მეტი მოსწავლე (35.1%) თბილისში სწავლობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2017/2018-2021/2022 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №2

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



01.12.2021

2020/2021 სასწავლო წლის განმავლობაში, სწავლა შეწყვიტა 7 050 მოსწავლემ, რაც 14.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. იმ მოსწავლეთა შორის, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა, 42.8 პროცენტი გოგოა, ხოლო 57.2 პროცენტი - ბიჭი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა სქესის და კლასის მიხედვით, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა 2020/2021 სასწავლო წლის განმავლობაში.

დიაგრამა №3

მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა, 2020/2021 სასწავლო წლის განმავლობაში



01.12.2021

2021/2022 სასწავლო წელს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებს (აღნიშნული საგნები სავალდებულოდ ისწავლება I, V და VI კლასებში) 176 350 მოსწავლე სწავლობს, რაც წინა სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.4 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2021/2022 სასწავლო წელს.

დიაგრამა №4

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2021/2022 სასწ.წ.

(ათასი)



01.12.2021

2021 წელს საშუალო სკოლა დაასრულა 38 734 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1.3 პროცენტით აღემატება. დაწყებითი განათლება მიიღო 47 617 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით მეტია, ხოლო საბაზო განათლება - 44 832 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 10.9 პროცენტით ჩამორჩება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომელთაც მიიღეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება 2017-2021 წ.წ.

დიაგრამა №5

დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები
(ათასი)



01.12.2021

2021/2022 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 62 981 პედაგოგი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.4 პროცენტით მეტია. მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კერძოდ, პედაგოგების რიცხოვნობაში ქალების წილი 87.2 პროცენტი, ხოლო კაცების წილი 12.8 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პედაგოგების რიცხოვნობა 2017/2018-2021/2022 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №6

პედაგოგების რიცხოვნობა საჯარო და კერძო სკოლებში
(ათასი)



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ: 2 36 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge